ადამიანის უფლებების მდგომარეობა ავტორიტარულ საქართველოში, 2025

ადამიანის უფლებათა ცენტრი

რედაქტორები: ალეკო ცქიტიშვილი, უჩა ნანუაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC) www.coalitionfortheicc.org

Norwegian Helsinki Committee

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

სარჩევი

ანგარიშის შესახებ 5

რეპრესიული კანონმდებლობა სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ..... 6

რეპრესიები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ 8

- ანტიკორუფციული ბიურო და ადმინისტრაციული საქმის წარმოება ორგანიზაციების წინააღმდეგ 8
- სისხლის სამართლის გამოძიება საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ 11
- ფიზიკური პირების წინააღმდეგ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება ანტი-კორუფციულ ბიუროში 13

რეპრესიები სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ..... 15

დამოუკიდებელი მედიის მდგომარეობა..... 18

პოლიტპატიმრები საქართველოში..... 20

არჩევნები დიქტატურისკენ მიმავალ საქართველოში..... 23

საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები საქართველოში დემოკრატიის უკუსვლასა და ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებზე..... 26

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს, სამოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეპრესიები, მოქალაქეების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უპრეცედენტო შეზღუდვის ფაქტები და პოლიტიკურად მოტივირებული რეპრესიები სამოქალაქო აქტივისტების, მედიის წარმომადგენლების და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.

რეპრესიული კანონმდებლობა სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია წლების განმავლობაში აწარმოა და ამისთვის აქტიურად იყენებდა პროპაგანდისტულ მედია არხებს და სოციალურ მედიაში არსებულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ გვერდებს. ამ გზით ხელისუფლება ეცადა საზოგადოებაში შეექმნა განწყობა, თითქოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დამოუკიდებელი მედია გარე ძალების უშუალო მითითებით ქვეყანაში ანტი-სახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან და მათი შემოსავლები არაა გამჭვირვალე[1].

პირველად 2023 წელს, საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“, რომლებიც კრიტიკული აზრის გამოხატვისთვის ორგანიზაციებისა და მედიების დასჯას ისახავდა მიზნად. მასშტაბური საპროტესტო აქციებისა და საზოგადოების კრიტიკის შემდეგ, პარლამენტმა ერთი კანონპროექტი მეორე მოსმენით ჩააგდო, ხოლო მეორე კანონპროექტი უკან გაიწვია[2]. მიუხედავად ამისა, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2024 წლის აპრილში „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (შემდგომში - „რუსული კანონი“) ხელახლა დააინიცირა და 14 მაისს მიიღო.

სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის „რუსულ კანონში“ არსებული ხარვეზებისა და ბუნდოვანებების გამო, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ვერ შეძლო „რუსული კანონის“ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიების წინააღმდეგ ეფექტურად გამოყენება. ამ ხარვეზის

[1] რადიო თავისუფლება „პრემიერ-მინისტრი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიიჩნევს კამპანიას „ეს შენ გეხება“. 2014 წელი. იხ. ბმული

[2] ინტერპრესნიუსი - პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით ჩააგდო, 10.03.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. ბმული

აღმოსაფხვრელად, 2025 წლის დასაწყისში, „ქართული ოცნების“ პარლამენტში დაინიცირდა, მათივე მტკიცებით, აშშ-ში მოქმედი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ (FARA) სიტყვა-სიტყვით თარგმნილი კანონპროექტი. საბოლოოდ, 1 აპრილს „ქართული ოცნების“ პარლამენტში მიღებული უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, 31 მაისს შევიდა ძალაში. 2024 წელს მიღებული „რუსული კანონისგან განსხვავებით“, ქართული FARA, ადმინისტრაციულთან ერთად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან დამოუკიდებელი მედიის ხელმძღვანელებს, რომლებიც არ დარეგისტრირდებიან როგორც „უცხოური პრინციპალის აგენტები“ ანტი-კორუფციული ბიუროს ბაზაში[3]. აღნიშნული პასუხისმგებლობა შეიძლება გავრცელდეს ორგანიზაციების რიგით თანამშრომლებსა და ფიზიკურ პირებზეც.

ე.წ. რუსული კანონი და ქართული FARA არ აღმოჩნდა საკმარისი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის, რომ საბოლოოდ აეკრძალა სამოქალაქო საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში. ამისთვის, 2025 წლის 17 აპრილს, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „გრანტების შესახებ“ კანონში, რითაც სავალდებულო გახადა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისთვის საქართველოს ხელისუფლებიდან ნებართვის მიღება, რათა ადგილობრივ საზოგადოებრივ და მედია ორგანიზაციებს დაუფინანსონ პროექტი. უცხოური გრანტის მიღების შესახებ შეტყობინების ვალდებულება აქვს ადგილობრივ არასამთავრობო და მედია ორგანიზაციასაც. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ნებართვის გარეშე მიღებული გრანტის მიმღები ადგილობრივი ორგანიზაცია დაჯარიმდება მიღებული გრანტის ორმაგი ოდენობით.

ამის გათვალისწინებით, 17 აპრილის შემდგომ, ორგანიზაციებისთვის და დამოუკიდებელი მედიისთვის აბსოლუტურად შეუძლებელი გახდა უცხოური გრანტის მიღება. ე.წ. რუსული კანონის, ქართული FARA-ს და „გრანტების კანონში“ შესული დრაკონული ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით რეგიონებში მოქმედმა არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებმა, შეწყვიტეს არსებობა. ანგარიშის მომზადების დროს (დეკემბერი, 2025 წელი), ანტი-კორუფციული ბიუროს ვებგვერდზე მხოლოდ 12 უცხოური პრინციპალი და 12 უცხოური პრინციპალის

[3] ანტი-კორუფციული ბიურო, “უცხოეთის რეგისტრაციის აქტი”, განცხადებები იხ. ბმულზე

აგენტია რეგისტრირებული[4]. შესაბამისად, არასამთავრობო და დამოუკიდებელი მედია ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა არ აპირებს უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრაციას და ამ სახელით საქმიანობის გაგრძელებას.

რეპრესიები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ

ანტიკორუფციული ბიურო და ადმინისტრაციული საქმის წარმოება ორგანიზაციების წინააღმდეგ

ანტიკორუფციული ბიურო 2022 წლის 15 დეკემბერს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე შეიქმნა. ბიურო შეიქმნა **ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მისანიჭებლად, ევროკომისიის მიერ განსაზღვრული მე-4 პრიორიტეტული ამოცანის საფუძველზე[5].**

ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ამოცანის თანახმად, საქართველოს ხელისუფლებას უნდა გაეძლიერებინა ანტი-კორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა და **ეფექტიანად გამოეძიებინა ელიტური კორუფციის შემთხვევები**. სამი წლის შემდეგ, ბიუროს ძირითადი საქმიანობა გახდა სამოქალაქო საზოგადოებრივი და დამოუკიდებელი მედია ორგანიზაციების დევნა. **2025 წლის ნოემბერში, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 2 მარტიდან ანტიკორუფციული ბიურო**

[4] იქვე
[5] ევროპის კომისია, „საქართველოს ევროკავშირში გაწევრების განაცხადზე მოსაზრება”, 17 ივნისი, 2022 წელი. იხ. ბმული

გაუქმდება, მისი ფუნქციები კი სრულად გადაეცემა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს[6].

2025 წლის გაზაფხულზე მიღებული „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტისა“ და „გრანტების შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილებების აღსრულება ბიურომ ივნისშივე დაიწყო.

11 ივნისს ხუთმა სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ[7] მიიღო ანტი-კორუფციული ბიუროს წერილი, რომელშიც მოთხოვნილი იყო გაეგზავნათ ყველა ხელშეკრულება, მათ შორის საგრანტო ხელშეკრულება, რაც კი 2024 წლის 1 იანვრიდან დაუდიათ უცხოელ დონორთან თუ ქართველ ფიზიკურ პირთან. მოთხოვნილ ინფორმაციას შორის იყო პირადი მონაცემები: გრანტის გაცემის შემდეგ გათვალისწინებული სამუშაო გეგმა, ინვოისები, მიღება-ჩაბარების აქტები, მონაწილეებისა და ბენეფიციარების პირადი ინფორმაცია (პირადი ნომრები), აქტივობის ამსახველი ფოტოვიდეომასალა და სხვა დეტალები. ამის პარალელურად, ბიურომ კომერციულ ბანკებს მოსთხოვა ინფორმაცია აღნიშნული 5 ორგანიზაციის მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 11 ივნისამდე პერიოდში განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ[8].

ორგანიზაციებმა ბიუროს მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ანტი-კორუფციული ბიუროს უკანონო მოთხოვნის წინააღმდეგ, ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაცია „საფარმა“ არასრულწლოვანი ბენეფიციარის სახელით მიმართა გაეროს ბავშვთა კომიტეტს (CRC). კომიტეტმა დააკმაყოფილა არასრულწლოვანი ბენეფიციარის მოთხოვნა და საქართველოს დაავალა არ დაუშვას ბენეფიციარის პირადი ინფორმაციის გამოთხოვა, გასაჯაროება და გადაცემა ნებისმიერი პირისთვის, მათ შორის ანტიკორუფციული ბიუროსთვის. საბოლოოდ, ორგანიზაციებმა ანტი-კორუფციულ ბიუროს წერილის პასუხად მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია გაუგზავნეს.

---

[6] რადიო თავისუფლება, „ანტი-კორუფციული ბიურო მომავალი წლის მარტიდან გაუქმდება,“ 17 ნოემბერი, 2025 წ. იხ. ბმული

[7] ხუთი ორგანიზაცია, რომლებმაც მიიღეს ანტი-კორუფციული ბიუროს წერილი 11 ივნისს: “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო,“ „საფარი,“ „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი,“ „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი,“ და „საქართველოს მომავლის აკადემია.“

[8] რადიო თავისუფლება, “რუსული კანონების აღსრულება დაიწყო - რა ინფორმაციას ითხოვს ანტიკორუფციული ბიურო სამოქალაქო ორგანიზაციებისგან”, 18 ივნისი, 2025 წ. იხ. ბმული

2025 წლის სექტემბერში, ანტი-კორუფციულმა ბიურომ გააფართოვა სამიზნე სამოქალაქო ორგანიზაციების წრე და ოცდაათამდე ორგანიზაციას მოსთხოვა ინფორმაცია 2025 წლის 16 აპრილის შემდეგ დაწყებულ ან/და მიმდინარე პროექტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ „გრანტების შესახებ კანონში“ ცვლილებები, რომლითაც დონორ ორგანიზაციებს „ქართული ოცნების“ მთავრობის ნებართვის გარეშე გრანტების გაცემა აეკრძალათ, 17 აპრილს შევიდა ძალაში.

ანტი-კორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის, რაჟდენ კუპრაშვილის წერილის საპასუხოდ ადრესატმა ორგანიზაციებმა წერილობით განუმარტეს, რომ ბიურო არღვევდა „გრანტების შესახებ“ კანონს და ასევე აცნობეს, რომ კანონში შესული რეპრესიული ცვლილებების ამოქმედების შემდეგ არ ჰქონდათ მიღებული ახალი საგრანტო ხელშეკრულებები და არც ძველ ხელშეკრულებებში შეუტანიათ ცვლილებები. შესაბამისად, მათზე „გრანტების შესახებ“ კანონით დადგენილი მონიტორინგის პროცესის დაწყება უკანონო იყო. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ბიუროსგან ასევე მოითხოვეს საქმის მასალების გაცნობა, მაგრამ ბიუროს მათთვის ეს ინფორმაცია არ მიუცია. მას შემდეგ, რაც ბიურომ ორგანიზაციებისგან ვერ მიიღო სასურველი ინფორმაცია, მან ეტაპობრივად მიმართა სასამართლოს შუამდგომლობებისთვის. თბილისის საქალაქო სასამართლომ 17 სექტემბერს გამოსცა ბრძანება ცხრა ორგანიზაციასთან მიმართებით - სრულად დააკმაყოფილა რაჟდენ კუპრაშვილის უწყების შუამდგომლობა და ორგანიზაციები დაავალდებულა, ბიუროს მიაწოდონ საქმიანობასთან დაკავშირებული მოცულობითი ინფორმაცია[9].

„ანტიკორუფციული ბიუროს ქმედებები წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციების დევნისა და ზეწოლის ერთიანი პროცესის ნაწილს. მისი მიზანია, რომ ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ემსახურებოდნენ ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას ქვეყანაში, ვეღარ შეძლონ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანად გაგრძელება და საზოგადოების

[9] რადიო თავისუფლება, „ანტი-კორუფციული ბიურო უკვე 30 ორგანიზაციას სთხოვს ინფორმაციას - NGO-ები რეპრესიებად მიიჩნევენ ბიუროს მოთხოვნებს,“ 22 სექტემბერი, 2025. იხ. ბმული

ინტერესების დაცვა," - ნათქვამია სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადებაში, რომელსაც ხელს 20 ორგანიზაცია აწერს[10].

სისხლის სამართლის გამოძიება საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ

პროკურატურამ 2025 წლის 8 თებერვალს საქველმოქმედო ფონდების და ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოძიება ვატო შაქარიშვილისა და ნანა კაკაბაძის ორგანიზაციის - „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" საჩივრის საფუძველზე დაიწყო „საბოტაჟის, საბოტაჟის მცდელობისა და მტრულ საქმიანობაში დახმარების" მუხლებით.

ამ საქმის გამოძიების ფარგლებში, 2025 წლის მარტში თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ანგარიშები დაყადაღდა, რომლის დამფუძნებელ წევრ ორგანიზაციებს შორის არის ადამიანის უფლებათა ცენტრი. მეტიც, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს დაებლოკა არა მხოლოდ დაჯარიმებული პირებისთვის შემოწირულობებით შეგროვებული თანხებით დახმარების შესაძლებლობა, არამედ ორგანიზაციის სხვა მიმდინარე უფლებადაცვითი პროექტების ანგარიშებიც[11]. აღსანიშნავია, რომ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი უკანონოდ დაჯარიმებული მოქალაქეების ჯარიმის თანხას რიცხავდა პირდაპირ სახელმწიფოს ხაზინაში, მას შემდეგ, რაც პირი წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს დადგენილებას მის დაჯარიმებასთან დაკავშირებით.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, 2025 წლის 29 აპრილს ჩატარდა ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, ალექსანდრე ცქიტიშვილის პირადი და ბინის ჩხრეკა[12]. ჩხრეკის დროს სამართალდამცავებმა დალუქეს და წაიღეს ალეკო ცქიტიშვილის სამსახურეობრივი კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული

[10] ადამიანის უფლებათა ცენტრი, „სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება," 22 სექტემბერი, 2025 წელი. იხ. ბმული

[11] ადამიანის უფლებათა ცენტრი, „სამოქალაქო სოლიდარობის დასასჯელად განხორციელებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, 2025." გვ. 10-12, იხ. ბმული

[12] იქვე; გვ. 16

ჩანაწერები. პროკურატურას აღნიშნული ნივთები ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ დაუბრუნებია.

2025 წლის აგვისტოს ბოლოს, საქართველოს პროკურატურამ გააფართოა მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების არეალი და დამატებით 7 არასამთავრობო ორგანიზაციის საბანკო ანგარიში დააყადაღა სასამართლო განჩინების საფუძველზე[13]. მათი ხელმძღვანელები, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელი ალეკო ცქიტიშვილი, პროკურატურამ მოწმის სახით დასაკითხად დაიბარა. ყველა მათგანმა მოითხოვა მაგისტრი მოსამართლის წინაშე თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკითხვა.

პროკურატურის განცხადების თანახმად, „გამოძიება მიმდინარეობს საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის ფინანსების მობილიზების ფაქტებზე. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2024 წლის პერიოდში საქართველოს პარლამენტის წინ და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე მიმდინარე ძალადობრივი საპროტესტო აქციების დაგეგმვასა და ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ასევე ცალკეული ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული გარემოებები და სისხლის სამარათლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები საფუძვლად დაედო 12 იურიდიული პირის - ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების საბანკო ანგარიშების დაყადაღებას, რითაც შეიზღუდა ფულადი სახსრების შემდგომი არამიზნობრივი განკარგვა.“[14]

სასამართლოში გამოკითხვის დროს, ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მიმართ პროკურორის მიერ დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის ანგარიშზე ფიზიკური პირების მიერ დაჯარიმებული მოქალაქეების

[13] ორგანიზაციები ვისი ანგარიშებიც დაყადაღდა 2025 წლის აგვისტო-სექტემბერში პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში: სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, ISFED, IDFI, GDI, დემოკრატიის მცველები, საფარი და სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

[14] საქართველოს პროკურატურის განცხადება, 1 სექტემბერი, 2025 წ. იხ. ბმული

დასახმარებლად გადარიცხული თანხების მიზნობრიობას და ასევე ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ განხორციელებულ საქმიანობას და მიმდინარე პროექტების აქტივობებს.

50-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოაწერა ხელი ერთობლივ განცხადებას, რომლითაც სოლიდარობა გამოხატეს იმ ორგანიზაციების მიმართ, ვისი საბანკო ანგარიშებიც აგვისტოს ბოლოს დააყადაღა პროკურატურამ. განცხადების თანახმად, „ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ, რუსეთის ხელისუფლების მსგავსი, სადამსჯელო ნაბიჯების გადადგმა ადასტურებს, რომ ივანიშვილის მთავრობის ინტერესი, საქართველოში განსხვავებული აზრისა და პროევროპული ჯგუფების სრულად განადგურებაა.[15]“

ფიზიკური პირების წინააღმდეგ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება ანტი-კორუფციულ ბიუროში

2025 წლის სექტემბერში, ანტი-კორუფციულმა ბიურომ ფინანსური შემოსავლების და ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია ფიზიკური პირებისგანაც მოითხოვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს სამოქალაქო აქტივისტების სამართლებრივ ინტერესებს, რომელთა საბანკო ტრანზაქციებზე წვდომა ანტი-კორუფციულმა ბიურომ სასამართლოს დახმარებით მოითხოვა. გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გერგაულმა რაჟდენ კუპრაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა, მაგრამ მოგვიანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ თამარ ონიანმა გააუქმა გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება და ანტი-კორუფციულ ბიუროს სამოქალაქო აქტივისტების ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებულ ყველა საბანკო ტრანზაქციაზე წვდომა მისცა[16].

მოცემულ შემთხვევაში ანტი-კორუფციული ბიუროს მოთხოვნა დაეფუძნა მის უფლებამოსილებას, განახორციელოს განცხადებული საარჩევნო მიზნის

[15] საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, 28 აგვისტო, 2025 წ. იხ. ბმული
[16] პუბლიკა, „სააპელაციო სასამართლომ გორის სასამართლოს მოსამართლის ნინო გერგაულის გადაწყვეტილება გააუქმა,“ 8 ოქტომბერი, 2025 წ. იხ. ბმული

მქონე პირთა ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი.[17] თუმცა, ბიუროს სასამართლოსათვის არ წარუდგენია არცერთი მტკიცებულება, რომ სამოქალაქო აქტივისტები წარმოადგენდნენ განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირებს.[18] თბილისის სააპელაციო სასამართლომ ფართოდ განმარტა „განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის“ ცნება, გასცდა კანონმდებლობით ჩამოყალიბებულ განმარტებას, არ მოითხოვა ბიუროსაგან დამატებითი მტკიცებულებები და მისცა მას წვდომა ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ბრძანება და ამ ბრძანებით დადგენილი სტანდარტი, რომ ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, კანონის ნორმათა ფართო განმარტების საფუძველზე სახელმწიფო უწყებას დაუსაბუთებლად მიეცეს ფიზიკურ პირთა პერსონალურ/ფინანსურ ინფორმაციაზე წვდომა წარმოადგენს როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის,[19] პირადი და ოჯახური ცხოვრების,[20] სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების[21] უფლებების უხეშ დარღვევას. მითითებული სტანდარტით ფიზიკური პირისაგან პერსონალური ინფორმაციის გამოთხოვა საფუძველს აცლის მთლიანად პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს და ქმნის პრაქტიკას, როდესაც საჯარო უწყებას ნებისმიერ დროს ნებისმიერი პირისაგან შეუძლია გამოითხოვოს ამ პირის პერსონალური ინფორმაცია.

---

[17] საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მე-20[15] მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

[18] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მე-7[1] მუხლი.

[19] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პირველი პუნქტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.

[20] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15, პირველი პუნქტი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

[21] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18, მე-3 პუნქტი.

რეპრესიები სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ

2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძის მიერ ევროკავშირთან მოლაპარაკებების 2028 წლამდე შეჩერების შესახებ განცხადებამ საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება და მასობრივი, უწყვეტი პროტესტი გამოიწვია. თბილისის საპროტესტო აქციების ჩასახშობად სახელმწიფო სისტემურად იყენებდა არასათანადო მოპყრობასა და საპოლიციო ძალადობის სხვა ფორმებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით სახალხო დამცველის აპარატს, ჯამში, იდენტიფიცირებული აქვს 282 სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტი.[22].

2025 წელს შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვის მიზნით „ქართული ოცნების" პარლამენტმა მთელი რიგი ცვლილებები განახორციელა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რითაც მოქალაქეების, სამოქალაქო აქტივისტების და უფლებადამცველების საპროტესტო აქციებში მონაწილეობა და სახეზე ნიღბის ტარებაც კი მძიმე სამართალდარღვევად იქცა. აღნიშნული „სამართალდარღვევისთვის" კი მოქალაქეებს 60 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა ემუქრებათ, ხოლო განმეორებით ჩადენილი „დანაშაულისთვის" პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ერთ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

2025 წლის 6 თებერვალს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს" დაემატა 173[13] მუხლი, რომელიც სამართალდარღვევად აცხადებს პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერ შეურაცხყოფას, ლანძღვა-გინებას, მასზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას ან/და მის მიმართ სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან

[22] ერთობლივი ანგარიში: „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ," გვ. 46, 2025 წ. იხ. ბმული

საქმიანობასთან დაკავშირებით. სანქციის სახედ და ზომად გათვალისწინებულია ჯარიმა 1500 ლარიდან 4000 ლარამდე ან ადმინისტრაციული პატიმრობა 45 დღემდე. ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, გათვალისწინებულია ჯარიმა 2 500 ლარიდან 6 000 ლარამდე ან ადმინისტრაციული პატიმრობა 5 დღიდან 60 დღემდე ვადით.

2025 წლის 11 ივნისს სამოქალაქო აქტივისტები, ტელეწამყვანები, ჟურნალისტები და ოპოზიციონერი პოლიტიკოსები თითქმის ერთდროულად დაიბარეს 2025 წლის 12 ივნისს[23] თბილისის საქალაქო სასამართლოში მათ მიმართ მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით. საქმეები შეეხება მითითებული პირების მიერ სხვადასხვა დროს სოციალურ ქსელში გაკეთებულ მწვავე განცხადებებს (ე.წ. პოსტებს) „ქართული ოცნების“ დეპუტატებისა და თანამდებობის პირების მიმართ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა ყველა მათგანი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნეს, და სასჯელის სახით მათ უმრავლესობას 4 000-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს.

აღსანიშნავია, რომ დღემდე ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის არცერთი თანამდებობის პირის, მხარდამჭერისა თუ ძალოვანი უწყების წარმომადგენლის მიმართ არ დაწყებულა ადმინისტრაციული სამართადარღვევის საქმე მათ მიერ საჯარო სივრცესა თუ სოციალურ ქსელში გაკეთებული უხამსი გამონათქამების, პირისპირ შეურაცხყოფებისა და მუქარების გამო. ამ კონტექსტში სამართალდარღვევის საქმეების წარმოების დაწყება სამოქალაქო აქტივისტების, ტელეწამყვანების, ჟურნალისტებისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების წინააღმდეგ ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები ემსახურება არასასურველი, მიუღებელი აზრის დასჯასა და ჩახშობას[24].

რეპრესიული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის გარდა, დემონსტრანტებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მექანიზმებიც.

[23] https://www.interpressnews.ge/ka/article/840777-zhurnalistebi-opozicionerebi-da-aktivistebi-acxadeben-rom-kartuli-ocnebis-deputatebtan-dakavshirebuli-postebis-gamo-sasamartloshi-ibareben-shss-shi-administraciuli-carmoeba-politikuri-tanamdebobis-piris-sheuracxqopis-sakmeze-mimdinareobs

[24] ადამიანის უფლებათა ცენტრი, „განცხადება სოციალურ ქსელში გამოხატვის თავისუფლებლის მასობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით,“ 12 ივნისი, 2025 წ. იხ. ბმული

დაკავებული აქტივისტების მიმართ წაყენებული ბრალდებების უმეტესობა მოიცავს შემდეგ დანაშაულებს: ჯგუფური ძალადობის ორგანიზება ან მასში მონაწილეობა, პოლიციელის ჯანმრთელობის დაზიანება. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეები ინდივიდუალური გარემოებების გაუთვალისწინებლად აბსოლუტურად ყველა ბრალდებულის მიმართ იყენებენ წინასწარ პატიმრობას. გადაწყვეტილების მიღებისას სრულად უგულებელყოფილია ბრალდებულთა საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, საოჯახო ან ფინანსური მდგომარეობა და სხვა გარემოებები. დაკავებულ პროტესტის მონაწილეთა და სამოქალაქო აქტივისტებს შორის არიან სტუდენტები, პოეტები, ექიმები, მსახიობები, მასწავლებლები, ჟურნალისტები, 21 წლამდე ასაკის პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ან ჯანმრთელობის მქონე ოჯახის წევრების ერთადერთი მომვლელები. უმრავლესობას მანამდე არ ჩაუდენია არანაირი დანაშაული, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტიც კი.

ამის პარალელურად, დღემდე არცერთი მოძალადე სამართალდამცველი ან ძალადობრივი ჯგუფის წევრი არ დასჯილა პროტესტის მონაწილეთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულისთვის, ძალადობისა და წამებისთვის.

უფრო მეტიც, 2025 წლის 1 ივლისიდან, „ქართული ოცნების“ პარლამენტის დადგენილებით, გაუქმდა სპეციალური საგამოძიებო სამსახური და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება პროკურატურის კომპეტენციაში გადავიდა[25].

[25] იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, შეფასება „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმება სამართალდამცავების დაუსჯელობის საბოლოო ინსტიტუციური გაფორმებაა,“ 21 ივლისი, 2025 წ. იხ. ბმული

დამოუკიდებელი მედიის მდგომარეობა

სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად, 2024-2025 წლებში მიღებული უცხოეთის აგენტების შესახებ მიღებული რეპრესიული კანონების პირდაპირი სამიზნე დამოუკიდებელი მედია ორგანიზაციებია. შესაბამისად, მათაც აეკრძალათ უცხოური გრანტების მიღება, და იქიდან გამომდინარე, რომ დამოუკიდებელ მედიას ისედაც შეზღუდული წვდომა აქვს სარეკლამო ბაზარზე, ბევრ მედია ორგანიზაციას, განსაკუთრებით რეგიონებში მომუშავე მედიებს, მოუწიათ საქმიანობის შეწყვეტა.

რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსის ინფორმაციით, ფინანსური სირთულეების გამო, მიმდინარე წელს, 21 რეგიონული მაუწყებლიდან ყოველდღიურ ახალ ამბებს ვეღარ აწარმოებს 17. მათ შორის, წლის დასაწყისში, მრავალწლიანი ოპერირების შემდეგ, მაუწყებლობა სრულად შეაჩერეს ტელეკომპანიებმა - ბორჯომმა და TV 25-მა (აჭარა), ასევე ახალციხის ტელევიზია „მეცხრე არხი - ახალციხემ“. ამასთან, მფლობელებს შორის უთანხმოების შედეგად, 2025 წლის თებერვალში ჯერ მაუწყებლობა დროებით შეაჩერა, მაისში კი სრულად დაიხურა ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი კრიტიკული ტელევიზია „მთავარი არხი“[26].

საპროტესტო აქციების დროს, სამართალდამცველთა და ძალადობრივი ჯგუფის წევრების განსაკუთრებული სამიზნე ხდებიან მედიის წარმომადგენლები. 2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ, ათეულობით ჟურნალისტი და ოპერატორი დაშავდა აქციების დარბევის დროს.

2025 წლის 1 ოქტომბერს მედიის, ინფორმაციისა და სოციალური კვლევების ცენტრმა გამოაქვეყნა მოკლე ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ „ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში, ჟურნალისტის, მედიასაშუალებებისა და მედიის უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ მომხდარი 434 ინციდენტი აღირიცხა. ზოგ შემთხვევაში, ერთი ინციდენტის დროს, ერთდროულად რამდენიმე ტიპის დარღვევას ჰქონდა ადგილი (მაგ.

[26] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, „მედიაგარემო 2025 წლის 9 თვის მდგომარეობით,“ 8 ოქტომბერი, 2025 წ. იხ. ბმული

დაკავება და ფიზიკური ძალადობა).[27]“ ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დარღვევების რაოდენობა განსაკუთრებით მაღალია პროევროპული პროტესტის დაწყების შემდეგ. მხოლოდ პროტესტის გაშუქებისას, 2024 წლის 28 ნოემბრიდან მოყოლებული 2025 წლის 1 ოქტომბრამდე, მედიის 181 წარმომადგენელი დაზარალდა[28].

დღემდე უკანონო პატიმრობაში რჩება გაზეთ „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი **მზია ამაღლობელი,** რომლის სისხლის სამართლის საქმე ქვეყანაში არსებული პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების ნათელი დადასტურებაა. ამ საქმესთან დაკავშირებით, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ შეესაბამება სისხლის სამართლის ბრალდებისთვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

მზია ამაღლობელი თავდაპირველად ბათუმში საპროტესტო სტიკერის გაკვრისთვის ადმინისტრაციული წესით დააკავეს. იგი მოგვიანებით პირადი თავდებით გათავისუფლდა. გათავისუფლებიდან მალევე, ჟურნალისტი კვლავ დააკავეს ამჯერად უკვე სისხლის სამართლის წესით - ბათუმის პოლიციის უფროსის, ირაკლი დგებუაძის მიმართ ძალადობის ბრალდებით. დაკავების შემდეგ, მზია ამაღლობელი ბათუმის პოლიციის უფროსის მხრიდან არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა, როგორც პოლიციის ეზოში, ასევე პოლიციის შენობის შიგნით. შენობაში შეყვანამდე, დგებუაძემ რამდენჯერმე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მზია ამაღლობელს ეზოში. შენობის შიგნით, პოლიციის უფროსმა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სცადა, მაგრამ პოლიციის სხვა თანამშრომლებმა შეაკავეს. გარკვეული დროის განმავლობაში, მზია ამაღლობელს არ მიეწოდებოდა სასმელი წყალი; მას არ აძლევდნენ უფლებას დაკავშირებოდა ადვოკატებს. 2025 წლის აგვისტოში, ქართული ოცნების სასამართლომ მზია ამაღლობელს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბოლო თვეებში მისი ჯანმრთელობისა და მხედველობის მდგომარეობა დრამატულად დამძიმდა.

[27]მედიის, ინფორმაციისა და სოციალური კვლევების ცენტრი, „საქართველოში დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლების უფლებების დარღვევის შემთხვევები 2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე,“ 1 ოქტომბერი, 2025 წ. იხ. ბმული

[28] იქვე

პოლიტპატიმრები საქართველოში

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2001 წლის 24 ოქტომბრის (SG/Inf) დოკუმენტის მიხედვით[29], „თავისუფლებააღკვეთილი პირი „პოლიტიკური პატიმრის“ გაგებას ექვემდებარება, თუ: ა. თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი პროტოკოლებით გარანტირებული რომელიმე უფლების, კერძოდ - სიტყვის, სინდისის და რელიგიის, გამოხატვის და ინფორმაციის გავრცელების, აგრეთვე შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლების უფლების დარღვევის საფუძველზე; ბ. თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იყო აშკარად პოლიტიკური მოტივებით, ყოველგვარი კანონდარღვევის გარეშე; გ. პოლიტიკური მოტივების გამო პატიმრობის ხანგრძლივობა და პირობები აშკარად შეუსაბამოა იმ კანონდარღვევასთან, რისთვისაც პირი არის ბრალდებული ან მსჯავრდებული; დ. პირი თავისუფლებააღკვეთილია პოლიტიკური მოტივებით სხვა პირებთან შედარებით დისკრიმინაციული საფუძვლით; ე. თავისუფლების აღკვეთა მოხდა პროცესუალური გარანტიების აშკარა დარღვევებით და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ეს დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან[30].

ბოლო წლებში „ქართული ოცნების“ მთავრობის ანტიდემოკრატიულმა ნაბიჯებმა ქვეყანაში აზრის გამოხატვის თავისუფლება და მშვიდობიანი შეკრების უფლება უფრო მეტად შეზღუდა. იმისათვის, რომ ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის კრიმინალიზაცია მომხდარიყო, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა ქვეყნის კანონმდებლობა დაჩქარებული წესით რამდენჯერმე შეცვალა, რითაც საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს სრულად დააშორა. შედეგად, კრიტიკის ნებისმიერი ფორმა შესაძლოა ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდეს ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობად იქცეს.

---

[29] ავტორები: სტეფან ტრეკსელი - ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის ყოფილი პრეზიდენტი, ევერტ ალკემა – ნიდერლანდების სახელმწიფო საბჭოს წევრი, ადამიანის უფლებათა ევროკომისიის ყოფილი წევრი, ალექსანდრე არაბაჯიევი – ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და ადამიანის უფლებათა ევროკომისიის ყოფილი წევრი.

[30] თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო „გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში,” 2012 წ. გვ. 12. იხ. ბმული

მიუხედავად ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებით საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მრავალრიცხოვანი კრიტიკული შეფასებებისა, „ქართული ოცნების“ მთავრობა განაგრძობს განსხვავებულად მოაზროვნე და კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეების დევნას პოლიტიკური მართლმსაჯულებით.

ბოლო მონაცემებით[31], საქართველოში 100-ზე მეტი პოლიტიკური და სინდისის პატიმარია. შედეგად, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე იმაზე მეტი პოლიტპატიმარია ვიდრე რუსეთში.[32]

დევნის სხვა მექანიზმებთან ერთად, დემონსტრანტებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენება სისხლისსამართლებრივი მექანიზმები. დაკავებული აქტივისტების მიმართ წარდგენილია შემდეგი ბრალდებები: ჯგუფური ძალადობის ორგანიზება ან მასში მონაწილეობა და პოლიციის თანამშრომლის დაზიანება. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში სასამართლო აკმაყოფილებს პროკურატურის შუამდგომლობას წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ და არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ გარემოებებს, როგორიცაა: ბრალდებულების დახასიათება, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ან ფინანსური მდგომარეობა და სხვა ფაქტორები. დაკავებულებს შორის არიან სტუდენტები, პოეტები, ექიმები, მსახიობები, მასწავლებლები, ჟურნალისტები, 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, 70 წელს გადაცილებული ხანდაზმულები, სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები. ზოგი მათგანი ოჯახის ერთადერთი მარჩენალია ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ოჯახის წევრის ერთადერთი მზრუნველი. მათ უმეტესობას წარსულში არ ჩაუდენია არც სისხლისსამართლებრივი და არც ადმინისტრაციული დარღვევა. მიუხედავად ამისა, პროკურატურის მოთხოვნა წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ ეფუძნებოდა ზოგად რისკებს, მათ შორის, მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს.

„ქართული ოცნების“ მთავრობა პოლიტიკურ მართლმსაჯულებას აქტიურად იყენებს ოპოზიციური პოლიტიკოსების წინააღმდეგ.

---

[31] იხილეთ, ინტერნეტ პლატფორმა www.politpatimrebi.ge

[32] ინტერპრესნიუსი: “ელინა ვალტონენი - საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე იმაზე მეტი პოლიტიკური პატიმარი ჰყავს, ვიდრე რუსეთს - ეს არ არის ევროპული გზა,“ 20 ოქტომბერი, 2025 წ. იხ. ბმული

2025 წელს, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა შექმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელმაც 2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობა უნდა შეესწავლა. კომისიაზე გამოუცხადებლობის ბრალდებით 8 ოპოზიციონერ პოლიტიკურ ლიდერს მიესაჯა პატიმრობა, აქედან 4 პირი 2012 წლამდე არ ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას და არ ირიცხებოდა პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ სიაში. პროკურატურამ ყველა მათგანისთვის საპატიმრო სასჯელის შუამდგომლობა დააყენა, რაც არც კანონით და არც საზოგადოებრივი ინტერესებით არ იყო დასაბუთებული[33]. 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტმა შეიწყალა პოლიტიკური პარტია „ლელოს“ ლიდერები - მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე, რომლებიც 5 სექტემბერს პატიმრობიდან გათავისუფლდნენ[34].

15 სექტემბერს დააკავეს პარტია „დროას“ ლიდერი, ელენე ხოშტარია, თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის საარჩევნო ბანერზე წინა დღეს გაკეთებული წარწერისთვის „რუსული ოცნება“. დაკავებიდან ორ თვეში, 6 დეკემბერს, მას კიდევ სამი ბრალდება წაუყენეს: საბოტაჟი, უცხო ქვეყნისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება და კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის მხარდაჭერა. ეს ბრალდება 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს[35].

2025 წლის 11 სექტემბერს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (სუს) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი ტელეკომპანია „ფორმულას“ ეზოში დააკავა. სუსის თავდაპირველი განცხადებით, ლევან ხაბეიშვილს ბრალად ედებოდა ქრთამის მიცემა უკანონო ქმედების ჩასადენად, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს (სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კერძოდ, სუსმა განაცხადა, რომ „ლევან ხაბეიშვილი სოციალური ქსელებითა და ტელევიზიებით ავრცელებდა მოწოდებებს და ძალოვანი

[33] ადამიანის უფლებათა ცენტრი, სამოქალაქო აქტივისტების დასჯის და რეპრესიების გაძლიერება, პოლიტიკური ოპონენტების დევნა, ჯარიმები facebook პოსტების გამო, მედიისთვის დახურული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, 2025, გვ. 20. იხ. ბმული

[34] რადიო თავისუფლება, „მამუკა ხაზარაძემ მის და ბადრი ჯაფარიძის შეწყალებას „მოულოდნელი“ და „ადამიანებით ვაჭრობა“ უწოდა“, 5 სექტემბერი, 2025 წ. იხ. ბმული

[35] რადიო „თავისუფლება“: „ელენე ხოშტარიას ინტერვიუ ციხიდან“, 24 ნოემბერი, 2025 წ. იხ. ბმული

სისტემის თანამშრომლებს ჰპირდებოდა ქრთამის მიცემას, თუ ისინი ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ აქციებზე უარს იტყოდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე“. 13 სექტემბერს ლევან ხაბეიშვილს ბრალი კიდევ ერთი – სსკ-ის 317-ე – სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების მუხლით წარედგინა. 15 სექტემბერს ლევან ხაბეიშვილს 2 თვით პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის უფლება შეეზღუდა, რაც 14 ნოემბერს კიდევ 2 თვით გახანგრძლივდა[36].

არჩევნები დიქტატურისკენ მიმავალ საქართველოში

2025 წლის 4 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და მასში მონაწილეობა არ მიიღო. „ქართული ოცნების” გარდა, მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობა 16 პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო, მათ შორის არიან: „პატრიოტთა ალიანსი“, „ძლიერი საქართველო“, „გახარია - საქართველოსთვის“ და „გირჩი“.

საარჩევნო პროცესმა დამოუკიდებელი ადგილობრივი საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების დაკვირვების გარეშე ჩაიარა. თუმცა, ცესკოს განცხადებით, საარჩევნო პროცესს 28 საერთაშორისო და 27 ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები დააკვირდა. საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის იყვნენ როგორც სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების და საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლები 21 ქვეყნიდან. მათ შორის ბულგარეთიდან, ალბანეთიდან, ბოსნია და ჰერცოგოვინადან, უნგრეთიდან, სლოვაკეთიდან, მონტენეგროდან, თურქეთიდან და მოლდოვადან[37]. მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 4 ოქტომბრის არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით აკვირდებოდა ფრანგი მესაფლავე,

[36] პუბლიკა „სუსი ხაბეიშვილს პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის უფლებას უზღუდავს,“ 16 სექტემბერი, 2025 წ. იხ. ბმული

[37] ცენტრალური საარჩევნო კომისია, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნები, იხ. ბმული

რომელიც რეალურად, საქართველოში სამგლოვიარო ტრადიციების შესასწავლად ჩამოვიდა და ამ მიზნით შეხვდა სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრს[38].

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 1 438 116 ამომრჩეველმა რეგისტრირებულ 3 513 818 ამომრჩეველიდან, რაც ამომრჩეველთა 40.93%-ს წარმოადგენს. იყვნენ მუნიციპალიტეტები, სადაც მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ ჰყავდა წარდგენილი კანდიდატები და შესაბამისად, მათმა კანდიდატებმა ხმების 100% მიიღეს.

თბილისში არჩევნებში მონაწილეობა რეგისტრირებული 1 043 482 ამომრჩევლიდან მხოლოდ 324 281 ამომრჩეველმა მიიღო, რაც რეგისტრირებული ამომრჩევლების 31.08%-ს შეადგენს[39]. რაც ნიშნავს, რომ დედაქალაქში მმართველი პოლიტიკური პარტიის კანდიდატმა რეგისტრირებული ამომრჩევლების 25%-ზე ნაკლების მხარდაჭერა მოიპოვა და თბილისის მერის თანამდებობა უკვე მესამე ვადით დაიკავა.

მუნიციპალური არჩევნების პარალალურად, თბილისში მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა. თბილისში და რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებმაც უარი განაცხადეს „ქართული ოცნების“ მიერ გამართულ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე, 4 საათზე თავისუფლების მოედანზე შეიკრიბნენ. აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ოპერის მომღერალმა და პოლიტიკოსმა პაატა ბურჭულაძემ შეკრებილებს სიტყვით მიმართა და ათონელის ქუჩაზე მდებარე პრეზიდენტის ადმინისტრაციისკენ წასვლისკენ მოუწოდა. ადგილზე მისულმა რამდენიმე მოქალაქემ ადმინისტრაციის რკინის ჯებირი გაარღვია და ეზოში შევიდა. საპოლიციო ძალებმა იქ შეკრებილი მომიტინგეები დაარბიეს. შსს-მ 5 ოქტომბერს დააკავა აქციის ორგანიზატორები: პაატა ბურჭულაძე, ასვე ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის წევრები ირაკლი ნადირაძე და მურთაზ ზოდელავა, „სტრატეგია აღმაშენებლის“ პარტიის წევრი პაატა მანჯგალაძე და გადამდგარი პოლკოვნიკი ლაშა ბერიძე. მათ ბრალად ედებათ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდება, ასევე

[38] ტელეკომპანია „პირველი“: „ვინ არის „ქართული ოცნების“ მიერ დამკვირვებლად გასაღებული მესაფლავე?“ 16 ოქტომბერი, 2025 წ. იხ. ბმული

[39] ბათუმელები, „ცესკოს ცნობით არჩევნებში მონაწილეობა 1 438 116-მა ამომრჩეველმა მიიღო,“ 5 ოქტომბერი, 2025 წ. იხ. ბმული

ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა და მასში მონაწილეობა. ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, თითოეულ მათგანს 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება[40]. ორგანიზატორების გარდა, 4 ოქტომბრის აქციასთან კავშირში, შსს-მ კიდევ დაახლოებით 50 ადამიანი დააკავა, მათ შორის 71 წლის პედიატრი გიორგი ჩახუნაშვილი. აღნიშნულ ფაქტს, ექიმების სოლიდარობა და საპროტესტო აქცია მოჰყვა. გიორგი ჩახუნაშვილი რამდენიმე დღეში გირაოს საფუძველზე გათავისუფლდა პატიმრობიდან.

საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ Amnesty International-მა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამართვამდე ერთი დღით ადრე გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ „არჩევნები ოპოზიციის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკური ანგარიშსწორების ფონზე ტარდება[41]“.

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა კაია კალასმა და გაფართოების საკითხებში ევროკავშირის კომისარმა მარტა კოსმა 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს, რომლის თანახმადაც, საქართველოში არჩევნები „განსხვავებული აზრის ფართომასშტაბიანი ჩახშობის გარემოში ჩატარდა“[42].

2025 წლის არჩევნებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლესი წარმომადგენლების და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE ODIHR) კრიტიკული შეფასებები მოყვა[43].

---

[40] Civil.ge „პოლიციამ არჩევნების დღის არეულობის შემდეგ 4 ოქტომბრის აქციის ორგანიზატორები დააკავა,“ 5 ოქტომბერი, 2025 წ. იხ. ბმული

[41] Amnesty International, “არჩევნები მკაცრი რეპრესიების და მზარდი ძალადობის რისკის ფონზე ჩატარდება“, 3 ოქტომბერი 2025წ. იხ. ბმული

[42] ევროკავშირის დიპლომატიური სამსახური, „ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის / ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის კაია კალასის და გაფართოების საკითხებში ევროკავშირის კომისრის მარტა კოსის ერთობლივი განცხადება საქართველოში გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით“, 5 ოქტომბერი, 2025 წ. იხ. ბმული

[43] Civil.ge “4 ოქტომბრის შესახებ საერთაშორისო რეაქციები“6 ოქტომბერი, 2025წ. იხ. ბმული

საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები საქართველოში დემოკრატიის უკუსვლასა და ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებზე

საქართველოში სწრაფ დემოკრატიულ უკუსვლას და ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია გამოეხმაურა. ისინი მოუწოდობენ „ქართული ოცნების“ მთავრობას, შეწყვიტოს მოქალაქეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებების შეზღუდვა, ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლა და დამოუკიდებელ სამოქალაქო და მედია ორგანიზაციებზე თავდასხმა. მათი მიმართვების და რეზოლუციების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ე.წ. უცხოური აგენტების შესახებ მიღებული დრაკონული კანონების გაუქმება და ეროვნული კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაა.

2025 წლის მარტში, ევროსაბჭომ საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ მემორანდუმი გამოაქვეყნა, სადაც ადამიანის უფლებათა კომისარი აფასებს საპროტესტო აქციების დარბევისას ჩადენილ მძიმე სისტემურ დარღვევებს, მოძალადე სამართალდამცველების დაუსჯელობას, რეპრესიულ საკანონმდებლო ცვლილებებს, თავისუფალ მედიაზე და სამოქალაქო საზოგადოებაზე თავდასხმას და სხვა. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, პატივი სცეს უფლებადამცველების და სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობას, გამოიძიონ მათზე განხორციელებული თავდასხმის ყველა ფაქტი და გააუქმონ ე.წ. უცხოეთის აგენტების შესახებ მიღებული კანონები[44].

2025 წლის 9 ივლისს ევროკავშირის პარლამენტმა საქართველოს შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში გრძელდება დემოკრატიული უკუსვლა და ძალაუფლების ავტოკრატიული კონსოლიდაცია. ამის გათვალისწინებით, პარლამენტმა ევროკავშირის კომისიას მოუწოდა, გადახედოს საქართველოს უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებას. პარლამენტის წევრები შეშფოთებას გამოხატავენ საქართველოს ხელისუფლების საგარეო

[44] ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, „მემორანდუმი საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ,“ მარტი, 2025 წ. იხ. ბმული

პოლიტიკის მკვეთრი ცვლილების გამო, რასაც ქვეყანა თვითიზოლაციისკენ მიჰყავს და „ქართული ოცნების“ რეპრესიული რეჟიმი სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონში არასტაბილურ გარემოს აუარესებს. მათი შეფასებით, თუ „ქართული ოცნება“ გააგრძელებს ამ მიმართულებით სვლას, საქართველო, ბელორუსის მსგავსად, რუსეთის ვასალი სახელმწიფო გახდება[45].

2025 წლის 27 მარტს წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციამ (OMCT) საქართველოში საპროტესტო აქციების დროს წამების, არასათანადო მოპყრობისა და ადამიანის უფლებებათა დარღვევების საგანგაშო ფაქტების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. OMCT-მ წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოსთან (IRCT), დამოუკიდებელ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფთან (IFEG) და ქართულ უფლებადამცველ ორგანიზაციებთან (მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრთან) ერთად 2024 წლის 17-24 დეკემბერს თბილისში ფაქტების დამდგენი მისია ჩაატარა. გამოიკითხა ათეულობით საპროტესტო აქციების დაზარალებული მონაწილე და მოხდა მათი დაზიანებების დოკუმენტირება[46].

[45] ევროპის პარლამენტი, „საქართველოს შესახებ ანგარიში,“ 9 ივლისი 2025 წ. იხ. ბმული

[46] წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაცია OMCT, ანგარიში საქართველოს შესახებ, 27 მარტი, 2025 წ. იხ. ბმული